

აქციონერთა აქტივიზმის მნიშვნელობა კორპორაციულ მართვასა და  
სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოების ფუნქციონირებაში

ანა კახიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ანნა კახიძე, 24.06.2024.

## აბსტრაქტი

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ისეთი ტიპის სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც ორიენტირებულია ბაზარზე ოპერირებასა და კაპიტალის მოზიდვაზე, რის წყაროსაც ინვესტორები წარმოადგენენ. შესაბამისად, სხვა საკითხებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ, განსაკუთრებით მცირე პროცენტული მაჩვენებლის მქონე პარტნიორთა, უფლებათა დაცვას. აღნიშნული კი, მიიღწევა დაბალანსებული კორპორაციული მართვის მოდელის დანერგვით, რომელიც მათდამი ჩართულობის შესაძლებლობის მინიჭებასაც გულისხმობს. ამიტომაც, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, უმცირესობაში მყოფ აქციონერთა, ჩართულობის გამოხატულებად არსებული, აქტივიზმის მნიშვნელობის წარმოჩენა კორპორაციულ მართვასა და სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოთა ფუნქციონირებაში.

არსებული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომი დაეფუძნა კვალიფიციურ ავტორთა ნაშრომებს, სასამართლო გადაწყვეტილებათა, ადგილობრივ, საერთაშორისო თუ სხვა სახელმიფოთა საკანონმდებლო აქტების ანალიზს. ადგილი დაეთმო, ასევე, საფონდო ბრჭაზე სავაჭროდ დაშვებულ სააქციო საზოგადოებათა, საჯაროდ ხელმისაწვდომი, კრების ოქმებისა და წესდებათა განხილვას. ხოლო, უშუალოდ შერჩეულ წყაროთა დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა, დოქტრინალური სოციოსამართლებრივი, ნორმათა განმარტების თელეოლოგიური, კონტექსტუალური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. მათი დახმარებით, პასუხი გაეცა, მიზნის მისაღწევად დასმულ საკვლევ კითხვებს აქტივიზმის შედეგთა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, მოცემულ წყაროთა ანალიზის ფონზე, დადგინდა, რომ აქციონერთა აქტივიზმს, მიუხედავად პოტენციურ რისკთა არსებობისა, აქვს დადებითი გავლენა კონპორაციული მართვის კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული მოიცავს ხელმძღვანელ ორგანოთა გამართულ ფუნქციონირებასაც. თუმცა, რაც არანაკლებ

მნიშვნელოვანია არის, ის, რომ, როგორც დემონსტრირდა, მისით სარგებლობისათვის, საჭიროა ერთიანი დეფინიციური და არაორაზროვანი ჩარჩოს ჩამოყალიბება, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამაზიანებელი შედეგები. ხოლო, საქართველოსთან მიმართებით, შესაძლებელი გახდა, მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის, როგორც დადებითად შეფასება, ასევე მის ნაკლოვანებებსა და რეგულაციურ სისუსტეებზე საუბარი.

ყოველივე აღწერილის გათვალისწინებით, კვლევაში გაანალიზდა, არა მხოლოდ, საერთაშორისი გამოცდილება აქტივიზმის პრაქტიკასა და მის შედეგებთან დაკავშირებით, ამასთანავე ურადღება გამახვილდა საქართველოზე, სადაც დასახელებულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები, ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს კანონმდებლობაში. ამიტომაც, ნაშრომი, საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემასთან ერთად, მიუთითებს, არსებული მწირი პრაქტიკის განვითარების პარალელურად, სამომავლო კვლევების ჩატარების საჭიროებაზეც, რათა უკეთ გამოიკვეთოს პოტენციური ხარვეზები, აქციონერთათვის მინიჭებული უფლებებით რეალურად სარგებლობის თვალსაზრისით.

**ძირითადი სამიზნო სიტყვები:** სააქციო საზოგადოება, აქციონერთა აქტივიზმი, უმცერესობაში მყოფი აქციონერი, კორპორაციული მართვა.

## Abstract

The joint stock company belongs to the group of entrepreneurial legal persons that are concentrated on operating in the exchange market and on raising funds through investors. For that reason, among other things, it is significant to protect their rights, especially to those partners who own only small shareholdings in capital. Therefore, maintaining a balanced corporate governance model that includes the possibilities of involvement is crucial. Pursuant to the description, a main goal of this master's thesis is to demonstrate the effect of minority shareholders' activism on the corporate governance and on the functioning of management bodies of a joint stock company as an expression of partners' involvement in the functioning system.

Hence, for achieving the goal of the thesis, it relied on qualified authors' researches, court judgements, local and international legal acts etc. Also, one chapter was developed to analyze minutes of general meetings and statutes of listed joint stock companies. It bears noting that for processing the selected academic sources during the working process there were used the research methodologies such as doctrinal, socio-legal, teleological, contextual and comparative approaches. Based on them it became possible to answer the research questions about the consequences of shareholder activism and the situation in Georgian legislation and practice.

According to the analyzed information, this thesis indicates that shareholders' activism has a positive influence on promoting good corporate governance, even though it is associated with certain potential risks. It also covers the effective functioning of management bodies. But in contrast, as it has been demonstrated, it is necessary to create unambiguous definitional thresholds to avoid unfavorable consequences. Moreover, based on the analysis it became possible to evaluate the new Law of Georgia on Entrepreneurs positively as well as to discuss about regulatory weaknesses.

As a result, during the research both of the international experience in the context of shareholder activism and its consequences and the Georgian regulatory rules that are considered as recent developments in legislation were estimated. For that reason, the master's thesis not only answers the

questions mentioned above, but also illustrates the importance of further studies based on the expectations of future growing practice to demonstrate potential issues of shareholders ability to exercise the rights provided by law.

**Key Words:** Joint stock company, Shareholder activism, Minority shareholder, Corporate governance.